ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3290287

ნომერი: AR1505586

თარიღი : 21.05.2017

გაცემის თარიღი : 30.05.2017

გაცნობის თარიღი : 01.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი,კოტე აფხაზის N27, ანტონ კათალიკოსის 15-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი შელია პ/ნ 01017005224
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ორგანიზაცია:

- შპს შევარდენი კოდი: 204381640

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 21/05/2017 წლის #AR1505586 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კოტე აფხაზის N27/ ანტონ კათალიკოსის ქუჩა N15–ის მიმდებარედ დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ, საკითხის შემდგომი განხილვისთვის საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-დან იმ ფართის გამოყენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ღია საზაფხულო კაფის მოწყობა, ან უნდა მოხდეს ტერიტორიის იჯარის წესით აღება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.